მოყვარულთა ლიგა 2026

თბილისის ლიგის 2026 წლის სეზონი

GAFA

GEORGIAN AMATEUR FOOTBALL ASSOCIATION

საშეჯიბრო დებულება

2026

საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია

მისამართი: 0178, შეშელიძის ქ. 88, თბილისი, საქართველო

ტელეფონი: 577 68 68 19

ელ-ფოსტა: info@gafa.ge

სარჩევი

1 მიზანი 4

2 მოქმედების სფერო 4

3 მოქმედების სფერო - ფიზიკური და იურიდიული პირები 4

4 მოქმედების დრო 5

5 განმარტებები 5

6 ჩემპიონატის ორგანიზატორი 6

7 თბილისის ლიგა 2026-ში მონაწილეობის უფლება 7

8 თბილისის ლიგა 2026-ის ჩატარების სისტემა 10

9 თბილისის ლიგა 2026-ის ჩატარების პირობები 12

10 მოთამაშის რეგისტრაცია გუნდში 15

11 სათამაშო ფორმა - სავალდებულო ეკიპირება 16

12 სათამაშო ფორმის ფერი 16

13 უსაფრთხო ეკიპირება 17

14 სათამაშო ფორმების უზრუნველყოფა 17

15 ფარმ-გუნდი 18

16 თბილისის ლიგის ჩატარების ადგილი 19

17 მსაჯობა 20

18 მატჩის დელეგატი და კოორდინატორი 20

19 სამედიცინო და უსაფრთხოების საკითხები 21

20. დაჯილდოება 22

21. გაუთვალისწინებელი შემთხვევები 23

22. დასკვნითი დებულებები 23

დანართი 1. სატრანსფერო ფურცელი 24

დანართი 2. თავისუფალი ფეხბურთელის დამატების შესახებ 0

საშეჯიბრო დებულება

წინამდებარე დებულება მიღებულია და დამტკიცებულია საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის (სსფა) გამგეობის მიერ, ორგანიზაციის წესდების მე-5 და მე-7 მუხლების შესაბამისად.

1 მიზანი

„მოყვარულთა ლიგა 2026“-ის (შემდგომში დებულების ტექსტში - მოყვარულთა ლიგა), მათ შორის, „თბილისის ლიგა 2026“ - ის (შემდგომში დებულების ტექსტში - ჩემპიონატი) მიზანია:

ა. ფეხბურთის მასობრიობის განგრძობადი ზრდა;

ბ. ფეხბურთის შემდგომ განვითარება და პოპულარიზაცია;

გ. ჯანსაღი და სპორტული ცხოვრების წესის დამკვიდრება და პოპულარიზაცია საზოგადოებაში;

დ. სტაბილური, ყოველწლიური სამოყვარულო საფეხბურთო ლიგების განვითარება და პოპულარიზაცია;

ე. ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების აღმოჩენა;

ვ. სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა, ამოქმედება და განვითარება, თბილისის მასშტაბით;

ზ. ვეტერანი ფეხბურთელების დაბრუნება სპორტში;

თ. დამწყები მწვრთნელებისა და მსაჯების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

ი. UEFA REGIONS’ CUP-ის მონაწილე ნაკრები გუნდის კანდიდატების შერჩევა, მომზადება და თასზე მონაწილეობა;

კ. საქართველოს დავით ყიფიანის თასზე მონაწილე გუნდის კანდიდატების შერჩევა, მომზადება და თასზე მონაწილეობა;

ლ. სამოყვარულო ფეხბურთის მასშტაბური განვითარების ხელშეწყობა;

მ. მოყვარულთა ლიგისა და, ზოგადად, მასობრივი სპორტის პრინციპებისა და ღირებულებების დანერგვა და პოპულარიზაცია, პარტნიორების ჩართულობით და მათი როლის წარმოჩენით;

ნ. მასობრივი ფეხბურთის და, ზოგადად, ფეხბურთის, როგორც სპორტის სახეობის პრესტიჟის ამაღლება საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციისა და მაღალი ხარისხის გაშუქების უზრუნველყოფით;

ო. მოყვარულთა ლიგისა და, მათ შორის, თბილისის ლიგის მე-11 სეზონის შესაბამისი აქტივობებისა და გაშუქების დაგეგმვა და განხორციელება.

2 მოქმედების სფერო

დებულების მოქმედება ვრცელდება სსფა-ის მიერ მოყვარულთა ლიგა 2026-ის ეგიდით ორგანიზებულ თბილისის ლიგის მატჩებსა და ეტაპებზე.

3 მოქმედების სფერო - ფიზიკური და იურიდიული პირები

წინამდებარე დებულება ვრცელდება შემდეგ პირებზე:

- კლუბებზე / გუნდებზე;
- ოფიციალურ წარმომადგენლებზე;
- ფეხბურთელებზე;
- მატჩის ოფიციალურ პირებზე;
- გულშემატკივრებზე / მაყურებლებზე;
- სსფა-ის მიერ ავტორიზებულ პირებზე, კერძოდ, იმ პირებზე, რომლებიც ავტორიზებულები, ლიცენზირებულები ან/და დროებით დაქირავებულნი არიან სსფა-ის მიერ.

4 მოქმედების დრო

წინამდებარე დებულება გამოიყენება იმ ფაქტების მიმართ, რომელებიც წარმოიშვა მისი ძალაში შესვლის შემდეგ, თბილისის ლიგის 2026 წლის სეზონის დასრულებამდე.

5 განმარტებები

1. **სსფა** - საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია.
2. **სფფ** - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.
3. **FIFA** - საფეხბურთო ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია.
4. **UEFA** - ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი.
5. **მატჩის დაწყებამდე პერიოდი** - დრო გუნდების სტადიონზე გამოცხადებიდან მთავარი მსაჯის საწყის სასტვენამდე.
6. **მატჩის შემდგომი პერიოდი** - დრო მთავარი მსაჯის საბოლოო სასტვენიდან გუნდების მიერ სტადიონის ტერიტორიის დატოვებამდე.
7. **მატჩის მიმდინარეობა** - სსფა-ის საშეჯიბრო დებულებების შესაბამისად საფეხბურთო მატჩისთვის განსაზღვრული დრო, კერძოდ, დრო მთავარი მსაჯის საწყის და საბოლოო სასტვენებს შორის.
8. **ფეხბურთელი** - სსფა-ის ორგანიზებით გამართული ჩემპიონატის მონაწილე სამოყვარულო საფეხბურთო კლუბის/გუნდის შეამდგენლობაში სსფა-ის საშეჯიბრო დებულებებით განსაზღვრული წესების დაცვით რეგისტრირებული პირი
9. **ოფიციალური წარმომადგენლები** - კლუბის/გუნდის წარმომადგენელი ნებისმიერი პირი, ფეხბურთელების გამოკლებით, რომელიც ასრულებს ფეხბურთთან დაკავშირებულ საქმიანობას განურჩევლად მისი თანამდებობისა, როლისა (ადმინისტრაციული, სპორტული ან სხვა) ან/და საქმიანობის ხანგრძლივობისა; მათ შორის, მენეჯერები, მწვრთნელები და დამხმარე პერსონალი არიან ოფიციალური წარმომადგენლები.
10. **მატჩის ოფიციალური პირი** - მთავარი მსაჯი, მთავარი მსაჯის ასისტენტები, მეოთხე მსაჯი (მატჩზე საჭიროების კონკრეტულ შემთხვევაში), მატჩის დელეგატი, კოორდინატორი, მსაჯთა დამკვირვებელი (მატჩზე საჭიროების კონკრეტულ შემთხვევაში), უსაფრთხოებაზე ან/და სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი და სსფა–ის მიერ სპეციალურად დანიშნული ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება მატჩის ორგანიზებასთან დაკავშირებით.

11. **სსფა-ის რეგულაციები** - სსფა-ის საშეჯიბრო დებულება, სადისციპლინო კოდექსი, ბრძანებები, გამგეობის გადაწყვეტილებები, სხვა დებულებები და დამატებითი რეგულაციები, ასევე, ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს (IFAB) მიერ მიღებული თამაშის წესები (Laws of the Game).
12. **ჩემპიონატი** - სსფა-ის მიერ ორგანიზებული ლიგის სისტემით გამართული სამოყვარულო საფეხბურთო ტურნირი თბილისის ლიგა 2026.
13. **მატჩი** - სსფა-ის მიერ ორგანიზებული ჩემპიონატის საფეხბურთო შეჯიბრი ორ სამოყვარულო საფეხბურთო გუნდს შორის.
14. **სამოყვარულო საფეხბურთო კლუბი** - სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი, რომელიც რეგისტრირებულია იურიდიულ პირად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15. **ტექნიკური ზონა** - საფეხბურთო მოედნის კონკრეტული ნაწილი, რომელიც გამოყოფილია ფეხბურთელებისა და გუნდის ოფიციალური წარმომადგენლებისათვის.
16. **მაყურებელი / გულშემატკივარი -** პირი, რომელიც არ არის ფეხბურთელი, ოფიციალური წარმომადგენელი, მატჩის ოფიციალური პირი და მატჩს ესწრება მაყურებლისთვის / გულშემატკივრისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან.
17. **კომერციული უფლებები:** ნებისმიერი და ყველა კომერციული უფლება და შესაძლებლობები ჩემპიონატში და მასთან მიმართებით (გულისხმობს ყველა მატჩს), მათ შორის მედიის უფლებები, მარკეტინგის უფლებები და მონაცემთა უფლებები;

6 ჩემპიონატის ორგანიზატორი

1. „თბილისის ლიგა 2026“-ს ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია (შემდგომში - სსფა) და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში - სფფ).
2. „თბილისის ლიგა 2026“-ის პარტნიორები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი.
3. ჩემპიონატში მონაწილეობენ სამოყვარულო საფეხბურთო კლუბები, რომლებიც ემორჩილებიან IFAB-ის (ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციების საბჭო) მიერ დადგენილ თამაშის წესებს და ექვემდებარებიან ამ დებულებას, დეკლარაციას, სსფა-ს სადისციპლინო კოდექსსა და სადისციპლინო ორგანოების გადაწყვეტილებებს, ასევე, ითვალისწინებენ სამართლიანი თამაშის (FAIR PLAY) წესებს.
4. „თბილისის ლიგა 2026“-ის კალენდარი წარმოადგენს სსფა-ს საკუთრებას. სსფა-ს შეუძლია არსებული კალენდარის გამოყენება სარეკლამო, კომერციული და სხვა მიზნით. მატჩების განრიგი და დრო განისაზღვრება სსფა-ს მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით.
5. საფეხბურთო მოედნებზე, სადაც ჩატარდება „თბილისის ლიგა 2026“-ის მატჩები, სარეკლამო დაფის განთავსება და ნებისმიერი სხვა სახის სარეკლამო აქტივობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სსფა-ს თანხმობით და აღნიშნული აქტივობებიდან მატერიალურ სარგებელს იღებს მხოლოდ სსფა. სარეკლამო მომსახურების საფასურს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სსფა.

7 თბილისის ლიგა 2026-ში მონაწილეობის უფლება

1. „თბილისის ლიგა 2026“-ში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იურიდიულ პირებად რეგისტრირებულ სამოყვარულო საფეხბურთო კლუბებს, ან კლუბებს, რომლებიც, შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების საფუძველზე, წარმოადგენენ კონკრეტულ იურიდიულ პირებს.
2. გუნდის განაცხადის ძირითადი ნაწილი შედგება არანაკლებ 20 და არაუმეტეს 30 მოთამაშისაგან.
3. თუ ფეხბურთელი ერთხელ მაინც დარეგისტრირდება მოყვარულთა ლიგის 2026 წლის სეზონში, რომელიმე გუნდის/კლუბის შემადგენლობაში (არ იგულისხმება მუნიციპალური ეტაპი), იგი, ამავდროულად, რეგისტრირდება სსფა-ს ბაზაში, მას მიენიჭება რეგისტრირებული ფეხბურთელის სტატუსი და მისი გუნდიდან გუნდში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ სატრანსფერო პერიოდში, ამავე დებულების შესაბამისად.
4. თითოეულ გუნდს, ხსენებული 30 (ოცდაათი) მოთამაშის გარდა, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვს, რეგისტრაციის პროცესში, განაცხადში დაარეგისტრიროს მაქსიმუმ 10 (ათი) მოთამაშე (30+10 პრინციპი). თითოეული მოთამაშის დამატებისათვის სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი წინასწარ იხდის დადგენილ თანხას - 100 (ასი) ლარს და ოფიციალურად არეგისტრირებს ფეხბურთელს განაცხადში. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა უფლება მოთამაშეს მიიღოს მონაწილეობა მატჩებში.
5. ფეხბურთელის რეგისტრაციის უფლება, ნებისმიერი წესით, „მოყვარულთა ლიგა 2026“-ის მონაწილე ყველა გუნდს უწყდება რეგულარული სეზონის ბოლოს (არ იგულისხმება ფლეიოფი და ლიგა 2-ის ფინალი). მოყვარულთა ლიგის ფინალური ეტაპის განაცხადში შესაძლებელია რეგისტრირებული ან/და თავისუფალი აგენტის სტატუსის მოთამაშეთა დამატება, რისთვისაც გუნდი, თითოეული მოთამაშის დამატებისათვის, იხდის 100 (ასი) ლარს. ასეთი მოთამაშე შეიძლება იყოს მაქსიმუმ ორი და განაცხადში მყოფ მოთამაშეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 (ორმოცი) ადამიანს.
6. ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველმა გუნდებმა სსფა-ში უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

   „თბილისის სუპერლიგა“-ის მონაწილე გუნდებმა:

   - ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომლითაც დასტურდება სამოყვარულო საფეხბურთო კლუბის იურიდიულ პირად რეგისტრაცია ან დოკუმენტაცია რომელიმე მოქმედი ორგანიზაციიდან, რითაც დასტურდება სამოყვარულო საფეხბურთო გუნდის მიერ მისი წარმომადგენლობა;
   - არანაკლებ 20 (ოცი) და არაუმეტეს 40 (ორმოცი) (30+10 პრინციპი) ფეხბურთელით (მინიმუმ ორი მეკარე) დაკომპლექტებული გუნდის განაცხადი ელექტრონული ფორმით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ყველა ფეხბურთელის სათამაშო ნომერი. განაცხადის ფორმა გუნდს მიეწოდება საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის მიერ, მოთხოვნის შესაბამისად;
   - მოთამაშეთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები;
   - მონაწილეობის საფასურის **(4 000 ლარი)** გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

- გუნდის ლოგო (სამუშაო, ე.წ. ვექტორული ფაილი);
- გუნდს უნდა ჰქონდეს ორი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ფერის სათამაშო ფორმა, რომლის ზურგზეც განთავსებული უნდა იყოს მოთამაშის ნომერი, ხოლო მკერდზე, მარცხენა მხარეს, კლუბის ლოგო. თბილისის ლიგის მონაწილე გუნდის თითოეული სათამაშო ფორმის კომპლექტზე აკრძალულია ნებისმიერი სხვა ჩემპიონატის ლოგოს განთავსება, გარდა „მოყვარულთა ლიგა"-ს ლოგოსი. რეგისტრაციის მსურველმა კლუბებმა ფორმების ნიმუშები უნდა წარმოადგინონ საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ოფისში.

„თბილისის ლიგა 2"-ის მონაწილე გუნდებმა:

- ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომლითაც დასტურდება სამოყვარულო საფეხბურთო კლუბის იურიდიულ პირად რეგისტრაცია ან დოკუმენტაცია რომელიმე მოქმედი ორგანიზაციიდან, რითაც დასტურდება სამოყვარულო საფეხბურთო გუნდის მიერ მისი წარმომადგენლობა;
- არანაკლებ 20 (ოცი) და არაუმეტეს 40 (ორმოცი) (30+10 პრინციპი) ფეხბურთელით (მინიმუმ ორი მეკარე) დაკომპლექტებული გუნდის განაცხადი ელექტრონული ფორმით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ყველა ფეხბურთელის სათამაშო ნომერი. განაცხადის ფორმა გუნდს მიეწოდება საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის მიერ, მოთხოვნის შესაბამისად;
- მოთამაშეთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები;
- მონაწილეობის საფასურის გადასახადის **(3 000 ლარი)** გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- გუნდის ლოგო (სამუშაო, ე.წ. ვექტორული ფაილი);
- გუნდს უნდა ჰქონდეს ორი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ფერის სათამაშო ფორმა, რომლის ზურგზეც განთავსებული უნდა იყოს მოთამაშის ნომერი, ხოლო მკერდზე, მარცხენა მხარეს, კლუბის ლოგო. თბილისის ლიგის მონაწილე გუნდის თითოეული სათამაშო ფორმის კომპლექტზე აკრძალულია ნებისმიერი სხვა ჩემპიონატის ლოგოს განთავსება, გარდა „მოყვარულთა ლიგა"-ს ლოგოსი. რეგისტრაციის მსურველმა კლუბებმა ფორმების ნიმუშები უნდა წარმოადგინონ საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ოფისში.

7. **„თბილისის სუპერლიგა"-ის მონაწილე გუნდებისათვის** მონაწილეობის საფასური **შეადგენს 4 000 (ოთხი ათასი) ლარს, „თბილისის ლიგა 2"-ის მონაწილე გუნდებისათვის** მონაწილეობის საფასური **შეადგენს 3 000 (სამი ათასი) ლარს, ჩემპიონატის გუნდის/კლუბის მიერ ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში, გადასახადი მას უკან არ უბრუნდება.**
8. „თბილისის ლიგა 2026"-ის მონაწილე გუნდებმა ფეხბურთელები განაცხადში უნდა შეიყვანონ სათამაშო ფორმაზე მითითებული ნომრების შესაბამისად. ნომრები შესაძლებელია დაკორექტირდეს, მხოლოდ განაცხადში ახალი ფეხბურთელის დამატების ან/და განაცხადიდან ფეხბურთელის ამორიცხვის შემთხვევაში.
9. მონაწილე გუნდის განაცხადში შეყვანილი ფეხბურთელების ასაკი განისაზღვრება **16** წლიდან.
10. ჩემპიონატის მონაწილე გუნდის განაცხადში უნდა იყოს არანაკლებ **20** და არაუმეტეს **40** მოთამაშე (30+10 პრინციპი). **მონაწილე გუნდებს უფლება არ აქვთ განაცხადში შეიყვანონ**

ფეხბურთელი, რომელიც არის რეგისტრირებული მითითებული ლიგების რომელიმე გუნდში - საქართველოს ეროვნული ლიგა 1, ეროვნული ლიგა 2, ასევე, ფეხბურთელი, რომელიც ბოლო 90 დღის მანძილზე ფიქსირდება მითითებული ლიგების ნებისმიერ სამატჩო ოქმში - ლიგა 3, ლიგა 4, რეგიონული ლიგები (ყველა რეგიონული ლიგა), ჭაბუკთა ლიგები. გამონაკლისს წარმოადგენს ფუტსალის ლიგა 1, სადაც რეგისტრირებული მხოლოდ ერთი მოთამაშის დამატების უფლება ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს მინიჭებული აქვთ. აღნიშნულ საკითხებზე პასუხისმგებელია თავად სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი.

11. ჩემპიონატის მონაწილე თითოეულმა გუნდმა, რომელსაც სურვილი აქვს სარეგისტრაციო განაცხადში შეიყვანოს ისეთი პირი, რომელიც იყო 7.10. პუნქტში ჩამოთვლილი ლიგების ნებისმიერი გუნდის მოქმედი ფეხბურთელი, სსფა-ს უნდა წარუდგინოს აღნიშნული პირის გათავისუფლების ცნობა. ცნობაში მითითებული უნდა იყოს გათავისუფლების თარიღი და ხელმოწერილი იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. გუნდს **უფლება არ აქვს** დაიმატოს ასეთი პირი გათავისუფლების ცნობის არსებობის შემთხვევაშიც კი, თუ ამავე ცნობით დასტურდება, რომ:
    - ეროვნული ლიგა 1-ისა და ეროვნული ლიგა 2-ის მოთამაშისათვის ამ პირის რეგისტრაციის შეწყვეტიდან/ გათავისუფლებიდან სულ მცირე 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე არ არის გასული;
    - 7.10. მუხლში მითითებულ სხვა ლიგებში მოთამაშისათვის ამ პირის სამატჩო ოქმში ბოლო მყოფობიდან სულ მცირე 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე არ არის გასული.
12. ვინაიდან, 7.10. მუხლში ჩამოთვლილ ლიგებში რეგისტრაციის პრინციპი განსხვავებულია, თითოეულ შემთხვევაში, წარმოშობილი პრობლემური შემთხვევის დროს, კონკრეტული ლიგის კონკრეტულ კლუბში კონკრეტული მოთამაშის მოქმედი რეგისტრაციის სტატუსი უნდა გაირკვეს სადისციპლინო და საშეჯიბრო კომიტეტების მიერ, 7.10. პუნქტში მითითებული ლიგის ადმინისტრაციასთან და კლუბთან.
13. იმ შემთხვევაში, თუ „თბილისის ლიგა 2026“-ის მონაწილე გუნდების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, ამ ჩემპიონატის მონაწილე გუნდის განაცხადში შეყვანილი ფეხბურთელი ჩაირიცხება 7.10. პუნქტში ჩამოთვლილ რომელიმე ლიგის გუნდში, „თბილისის ლიგა 2026“-ის მონაწილე გუნდმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს სსფა-ს და მოითხოვოს ასეთი ფეხბურთელის ამორიცხვა განაცხადიდან.
14. მოთამაშე გუნდში რეგისტრირებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ხელმოწერით დაადასტურებს დეკლარაციას, რომელიც ერთვის ამავე დებულებას. სხვა შემთხვევაში, მასზე გავრცელდება არარეგისტრირებული მოთამაშის წესები და სადისციპლინო სანქცია.
15. გუნდის სახელი არ უნდა შეიცავდეს უცენზურო სიტყვებს და არ უნდა იყოს ღირსების შემლახავი ან პოლიტიკური შინაარსის მქონე.
16. რეგისტრაციის პროცესში წინა სეზონში მონაწილე გუნდმა შესაძლოა ახალი სეზონისათვის სახელი ან/და ლოგო შეიცვალოს, თუმცა, არ აქვს უფლება გამოიყენოს წინა სეზონში მონაწილე სხვა რომელიმე გუნდის სახელი ან ლოგო. გაერთიანებული სახელისა და ლოგოს გამოყენება შესაძლებელია.
17. ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველი გუნდების რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2026

წლის 26 თებერვალი. აღნიშნული თარიღის შემდეგ, არაუგვიანეს ჩემპიონატის დაწყებამდე 7 კალენდარული დღისა, შესაძლებელია რეგისტრირებულ განაცხადში განხორციელდეს ცვლილება, შესაბამისი წესით.

18. „თბილისის ლიგა 2026“ წარმოადგენს მოყვარულთა ლიგას შემადგენელ ნაწილს, ამიტომ დაუშვებელია, როდესაც თბილისის ლიგის რომელიმე გუნდში რეგისტრირებული მოთამაშე, პარალელურად, რეგისტრირდება საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ეგიდით გამართულ „მოყვარულთა ლიგა 2026“-ის მუნიციპალურ ეტაპზე თუ რეგიონულ ლიგებში.
19. **დისკვალიფიცირებული გუნდის იმ მოთამაშის დამატებისათვის, ვისაც მიღებული არ აქვს ინდივიდუალური სადისციპლინო სასჯელი, სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი წინასწარ იხდის დადგენილ თანხას - 200 (ორასი) ლარს და ოფიციალურად არეგისტრირებს ფეხბურთელს განაცხადში. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა უფლება მოთამაშეს მიიღოს მონაწილეობა მატჩებში.**
20. სსფა-ში რეგისტრირებულ გუნდს უნდა ჰყავდეს მწვრთნელი და წარმომადგენელი, რომელიც უნდა იყოს სხვადასხვა პირი. გუნდს უფლება აქვს ჰყავდეს მოთამაშე მწვრთნელი, მაგრამ არა მოთამაშე წარმომადგენელი. კლუბის პრეზიდენტს შეუძლია იყოს მოთამაშე, თუ ის არ არის წარმომადგენელი.
21. წარმოდგენილი სარეგისტრაციო მონაცემებისა და მატჩის ფოტოების გამოყენების უფლება აქვს სსფა-ს, რელევანტური მიზნებისათვის, ჩემპიონატის ჩატარებისას განსახორციელებელი და მასთან დაკავშირებული აქტივობებიდან გამომდინარე. ჩემპიონატის ფარგლებში შექმნილი ნებისმიერი ფოტო-ვიდეო მასალა ეკუთვნის საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციას და შეუძლია გამოიყენოს კომერციული მიზნებისათვის, ჩემპიონატის მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8 თბილისის ლიგა 2026-ის ჩატარების სისტემა

1. **„თბილისის ლიგა 2026“ გაიმართება 2026 წლის 27 მარტიდან 2026 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით და მოიცავს „თბილისის სუპერლიგა“-ის და „თბილისის ლიგა 2“-ის გათამაშებებს.**
2. „თბილისის სუპერლიგა“-ში მონაწილეობას იღებს 12 (თორმეტი) სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი.
3. „თბილისის ლიგა 2“-ში მონაწილეობას იღებს 24 (ოცდაოთხი) სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი, რომლებიც სსფა-ს მიერ ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე, განაწილდებიან ორ, 12-12 გუნდიან – “ა” და “ბ” ჯგუფებში. კენჭისყრის საფუძველზე გამოვლენილი პირველი გუნდი განთავსდება A ჯგუფში, მეორე გუნდი - B ჯგუფში და ა.შ.
4. „თბილისის სუპერლიგა“-ის მონაწილე გუნდები ჩემპიონატის მატჩებს გამართავენ წრიული სისტემით 2 (ორი) წრედ
5. „თბილისის ლიგა 2“-ის “ა” და “ბ” ჯგუფებში მონაწილე გუნდები შესაბამის ჯგუფებში ჩემპიონატის მატჩებს გამართავენ წრიული სისტემით, 2 (ორი) წრედ.
6. „თბილისის ლიგა 2026“-ის კალენდარს ადგენს სსფა.
7. „თბილისის ლიგა 2026“-ში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, გუნდებს

უპირატესობა მიენიჭებათ შემდეგი პრიორიტეტების რიგითობის მიხედვით:

- უშუალოდ ურთიერთშეხვედრის შედეგი;
- მოგებათა მეტი რაოდენობა;
- გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
- გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
- გაშვებული გოლების ნაკლები რაოდენობა;

8. ჩემპიონატის მიმდინარეობისას, თუ რამდენიმე გუნდი აგროვებს თანაბარ ქულებს, ლიგაში მათი ადგილები განაწილდება 8.7. მუხლში მითითებული კრიტერიუმით. ჩემპიონატის დასრულებამდე უპირატესობა ენიჭება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობას. თუ ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გუნდების ხუთივე მაჩვენებელი თანაბარი აღმოჩნდება, ჩატარდება გადათამაშება ერთი მატჩით. გადათამაშების ძირითადი დროს ფრედ დასრულების შემთხვევაში, დაინიშნება 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმები გამარჯვებულის გამოსავლენად.
9. სუპერლიგის პირველ, მეორე და მესამეადგილოსან გუნდებს ავტომატურად მიენიჭება თბილისის სუპერლიგის გამარჯვებული და პრიზიორი გუნდების სტატუსი.
10. სუპერლიგის მე-11 და მე-12 ადგილზე გასული კლუბები ასპარეზობას 2027 წელს გააგრძელებენ თბილისის ლიგა 2-ში, ხოლო მე-10 ადგილზე გასული გუნდი ფლეიოფში დაუპირისპირდება ლიგა 2-ის „ა“ და „ბ“ ჯგუფების მეორეადგილოსნების ფლეიოფში გამარჯვებულ გუნდს, სუპერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.
11. თბილისის ლიგა 2-ის “ა” და “ბ” ჯგუფების გამარჯვებული გუნდები, 2027 წლის სეზონში, ავტომატურად, იასპარეზებენ თბილისის სუპერლიგაში.
12. თბილისის ლიგა 2-ის “ა” და “ბ” ჯგუფების მეორეადგილოსანი გუნდები დაუპირისპირდებიან ფლეიოფში, ერთ მატჩში, რომლის გამარჯვებულიც, სუპერლიგაში ადგილის მოსაპოვებლად, დაუპირისპირდება სუპერლიგის მე-10 ადგილზე გასულ გუნდს.
13. „თბილისის სუპერლიგა“-ის გამარჯვებული, მეორე, მესამე, მეოთხე. მეხუთე და მეექვსე ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად ჩაერთვებიან „მოყვარულთა ლიგა 2026“-ის ფინალურ ეტაპზე.
14. „თბილისის ლიგა 2“-ის „ა“ და „ბ“ ჯგუფების გამარჯვებული გუნდები, სეზონის ბოლოს, გამართავენ ფინალურ მატჩს, სადაც გამოვლინდება თბილისის ლიგა 2-ის ჩემპიონი.
15. „თბილისის ლიგა 2“-ის „ა“ და „ბ“ ჯგუფების გამარჯვებული გუნდები ავტომატურად ჩაერთვებიან „მოყვარულთა ლიგა 2026“-ის ფინალურ ეტაპზე.
16. ასოციაციის საშეჯიბრო და სადისციპლინო კომიტეტი ყოველი სეზონის დასაწყისში ინდივიდუალურად იმსჯელებს თითოეული გუნდის რეგისტრაციის თაობაზე, ამ გუნდების სადისციპლინო გადაცდომების გათვალისწინებით. კონკრეტულ შემთხვევებში, შესაძლებელია გუნდს უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ იგი სისტემატიურად არღვევდა სსფა-ს სადისციპლინო კოდექსს.
17. თბილისის სუპერლიგის მონაწილე გუნდები არიან: **ბასა, კვარტალი, ლაზები, ვს ბრაზერსი, შტურმი 2022, აფხაზეთი, კოლხეთი, სეუ, ჯთს, სტელა, ოლ სტარი, ქომაგები.**
18. თბილისის ლიგა 2-ის მონაწილე გუნდები არიან: **იუს გენტინიუმი, პანენკა, სტრადა, ოლიმპი, ჯვაროსნები, ჭილოვანი, თბილისი 2019, ფასკუნჯი, ოქროს არწივი, ვარკეთილი, დეკა, არადანი, ბასიანი 2025, დიდგორი, სკ ტორო, მიმინო 2024, ჯთს იუნაიტედი, მასივი, ქიქსთართი, ფეოლა, ჰენკა, უნიონი, დაისი, იბსუ.**

9 თბილისის ლიგა 2026-ის ჩატარების პირობები

1. „თბილისის ლიგა 2026“-ის კალენდარი დგება სსფა-ს მიერ. ტურის მატჩები გაიმართება მცოცავი გრაფიკით, ძირითადად, შაბათსა და კვირას, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში, სსფა-ს საშეჯიბრო კომიტეტი განსაზღვრავს კვირის სხვა დღეებს მატჩების გასამართად, რაც კლუბებისათვის წინასწარ გახდება ცნობილი და ისინი ვალდებულნი იქნებიან მიიღონ მონაწილეობა ჩანიშნულ შეხვედრებში. სამუშაო დღეებში მატჩები გაიმართება არასამუშაო საათებში, ხოლო შაბათს და კვირას, მთელი დღის მანძილზე.
2. თითოეული ტურის თითოეული მატჩის საბოლოო თარიღსა და დროს (როგორც შაბათ-კვირას, ისე კვირის სხვა დღეებში), განსაზღვრავს ასოციაციის საშეჯიბრო კომიტეტი. ეს დრო კლუბებისათვის გონივრული ვადით ადრე იქნება ცნობილი და ისინი ვალდებულები იქნებიან გამოცხადნენ მითითებულ დროს, მითითებულ საფეხბურთო მოედანზე. სხვა შემთხვევაში, გუნდს ჩაეთვლება ტექნიკური მარცხი.
3. „თბილისის ლიგა 2026“-ში ქულების დარიცხვა ხდება შემდეგნაირად: **მოგება - 3 ქულა; ფრე - 1 ქულა; წაგება - 0 ქულა.**
4. გუნდის ოფიციალური წარმომადგენელი ვალდებულია მატჩის დაწყებამდე 20 (ოცი) წუთით ადრე მატჩის დელეგატს/კოორდინატორს წარუდგინოს კონკრეტული მატჩის განაცხადში შეყვანილი მოთამაშეები.
5. გუნდის მიერ სარეგისტრაციო განაცხადში და, შესაბამისად, მატჩის ოქმში მოთამაშის შეყვანა ავტომატურად არ ნიშნავს/არ წარმოშობს პრეზუმფციას, რომ ამ მოთამაშეს უფლება აქვს ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა, თუ დარღვეულია დებულების რომელიმე ნორმა.
6. გუნდის ოფიციალური წარმომადგენელი ან მწვრთნელი ვალდებულია მატჩის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მატჩის ოქმში აღნიშნოს მატჩზე გამოცხადებული მოთამაშეების სახელები სათამაშო ნომრების მითითებით. მატჩის ოქმს პირველად ავსებს ნომინალური მასპინძელი გუნდის წარმომადგენელი ან მწვრთნელი.
7. მოედნიდან გაძევებულ მოთამაშესა და მწვრთნელს სათადარიგოებს შორის ყოფნა ეკრძალება და უნდა გადაინაცვლოს ტრიბუნაზე.
8. თითოეული გუნდის ძირითად შემადგენლობაში უნდა იყოს მინიმუმ 7 ფეხბურთელი. თუ მატჩის დაწყების დროს გუნდის შემადგენლობაში არ იქნება განაცხადში მყოფი სულ მცირე 7 ფეხბურთელი, თამაში არ დაიწყება, გუნდს ჩაეთვლება ტექნიკური წაგება - ანგარიშით 0-3 (მეორე გუნდის მოგება) და დაეკისრება ფულადი სანქცია სსფა-ს სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად.
9. თუ რომელიმე გუნდი სხვადასხვა მიზეზით თამაშის მიმდინარეობისას მოედანზე დარჩება 7-ზე ნაკლები მოთამაშით - თამაში შეწყდება. საკითხი განსახილველად გადაეცემა საშეჯიბრო კომიტეტს.
10. თითოეული მონაწილე გუნდი ვალდებულია ყველა მატჩზე წარმოადგინოს ორი სათამაშო ფორმა (სრული კომპლექტი). ფორმის შერჩევის უპირატესობა ენიჭება მატჩში ნომინალურ მასპინძელ გუნდს.
11. დაუშვებელია უკვე რეგისტრირებული გუნდის სახელისა და ლოგოს შეცვლა ჩემპიონატის მიმდინარეობისას, ნებისმიერ ეტაპზე. თუ გუნდი შეიცვლის სათამაშო ფორმას, აღნიშნულის შესახებ, წინასწარ, წერილობით უნდა აცნობოს საშეჯიბრო კომიტეტს და მიიღოს თანხმობა.

12. „თბილისის ლიგა 2026“-ის კალენდარულ მატჩებში არ არის განსაზღვრული ცვლილების რაოდენობის ლიმიტი, თუმცა, ცვლილების განხორციელება (მატჩის შეჩერება და შესაბამისი პროცედურა) შესაძლებელია მხოლოდ ოთხჯერ, მატჩის მიმდინარეობისას - ეს არ გულისხმობს შესვენების დროს პირველ და მეორე ტაიმს შორის. შეცვლილი მოთამაშის მოედანზე დაბრუნება დაუშვებელია.
13. სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე.
14. თამაშის დროს, სათამაშო კარის უკან, შესაბამის ადგილას დგომის უფლება აქვთ მხოლოდ ფოტოკორესპოდენტებს, ტელეოპერატორებს და ბურთის მომწოდებელ პირებს.
15. დელეგატი/კოორდინატორი და მსაჯი ვალდებულნი არიან მატჩის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ჩაატარონ თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ორივე გუნდის წარმომადგენლები.
16. მატჩის დაწყებისა და დამთავრების შემდეგ მოთამაშეები ვალდებულნი არიან, ხელი ჩამოართვან ერთმანეთსა და მსაჯებს და დაემშვიდობონ მაყურებელს.
17. თუ გუნდი მოიხსნება თბილისის ლიგაში გასამართი მატჩების ნახევრის ჩატარებამდე, მის მიერ ჩატარებელი ყველა შეხვედრის შედეგი გაუქმდება და გუნდი წაიშლება გათამაშების ცხრილიდან. მოხსნილი გუნდი მომდევნო სეზონში ასპარეზობის სურვილის შემთხვევაში, დაქვეითდება რანგით ყველაზე დაბალ ლიგაში.
18. თუ გუნდი მოიხსნება თბილისის ლიგაში გასამართი მატჩების ნახევრის ჩატარების შემდეგ, მის მიერ ჩასატარებელი ყველა დარჩენილი შეხვედრა ჩაეთვლება წაგება 0-3, ხოლო ჩატარებული მატჩების შედეგები რჩება უცვლელი. მოხსნილი გუნდი მომდევნო სეზონში ასპარეზობის სურვილის შემთხვევაში, დაქვეითდება რანგით ყველაზე დაბალ ლიგაში.
19. მომდევნო სეზონში მათი რეგისტრაციის საკითხზე ასოციაციის საშეჯიბრო და სადისციპლინო კომიტეტი დამატებით იმსჯელებს.
20. არასაპატიო მიზეზით, მატჩზე ორჯერ (ცალ-ცალკე ან ზედიზედ) გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გუნდი მოიხსნება გათამაშებიდან. მიზეზის შესახებ, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, იმსჯელებს ასოციაცის საშეჯიბრო კომიტეტი.
21. ტექნიკური მოგების შემთხვევაში, ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის გატანილი გოლების მაჩვენებელში გუნდს ემატება 3 გოლი, ხოლო წაგებულ გუნდს - გაშვებული გოლების გრაფაში.
22. ტექნიკური შედეგით მატჩის დასრულების შემთხვევაში მიღებული ყვითელი და წითელი ბარათები ძალაში რჩება.
23. ტექნიკური მოგების შემთხვევაში, მოგებული გუნდის იმ მოთამაშეებს, რომლებმაც აღნიშნულ შეხვედრაში გოლი გაიტანეს, ბომბარდირთა დავაში შესაბამისი მაჩვენებელი მოემატებათ, ხოლო წაგებული გუნდის ფეხბურთელებს გატანილი გოლები უუქმდებათ.
24. ჩემპიონატის მსვლელობისას, მოთამაშე 4 (ოთხი) ყვითელი ბარათის სხვადასხვა მატჩში მიღების შემთხვევაში გამოტოვებს მომდევნო ერთ მატჩს, წითელი ბარათის მიღების შემთხვევაში, ასევე, ერთ მატჩს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, სსფა-ს ან სფფ-ის სადისციპლინო ორგანო იმსჯელებს და დაადგენს დისკვალიფიკაციის სახესა და ვადას. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა შეიცავს სისხლის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნებს, საქმე გადაეცემა შესაბამის ორგანოებს. საკუთარი გუნდის ფეხბურთელების ბარათების რაოდენობის სიზუსტეზე პასუხისმგებელი პირები არიან მწვრთნელი და წარმომადგენელი, რომლებმაც აღნიშნული საკითხი უნდა გააკონტროლონ სსფა-ს საშეჯიბრო

კომიტეტთან.

25. აღნიშნული, 9.24. მუხლის რეგულაცია ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც ერთი მოთამაშე/მწვრთნელი რეგისტრირებულია ორივე ლიგაში მწვრთნელის ან მოთამაშისა და მწვრთნელის სტატუსით. თითოეული მიღებული დისკვალიფიკაცია მოქმედებს ორივე ლიგაში არსებული გუნდის შესაბამისი როლის მიმართ.
26. ტექნიკურ ზონას, კონკრეტულ მოედანზე, შემოსაზღვრავს სსფა. მასში ყოფნა, მატჩის მიმდინარეობისას, შეუძლია მხოლოდ გუნდის მწვრთნელს. ზონაში ყოფნის წესების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირი მიიღებს სიტყვიერ გაფრთხილებას, ყვითელ ან წითელ ბარათს.
27. თუ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ტოვებს მატჩს, რომელიც იმ გუნდის, რომლის განაცხადშიც იმყოფება აღნიშნული ფეხბურთელი, ტექნიკური წაგებით დასრულდება, ამ ფეხბურთელის დისკვალიფიკაცია გადავა მომდევნო მატჩზე. თუ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ტოვებს მატჩს, რომელიც მოწინააღმდეგე გუნდის ტექნიკური წაგებით დასრულდება, მას დისკვალიფიკაცია მოხდილად ჩაეთვლება.
28. თუ შეწყვეტილი მატჩის ოქმში მყოფი მოთამაშე ან მწვრთნელი, შეწყვეტილი მატჩის გაგრძელებამდე, სხვა მატჩში მიიღებს დისკვალიფიკაციას, მას აქვს განახლებულ (შეწყვეტილ) მატჩში მონაწილეობის უფლება, ხოლო დისკვალიფიკაცია გადავა მომდევნო მატჩ(ებ)ზე.
29. თუ მატჩი შეწყდა განაცხადში მყოფი პირის (ფეხბურთელის, მწვრთნელის ან ოფიციალური წარმომადგენლის) მიერ, მატჩის მსაჯ(ებ)ის ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ან ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, რის შემდეგაც შეუძლებელია მსაჯ(ებ)ის მიერ აღნიშნული მატჩის გაგრძელება, გუნდს ჩაეთვლება ტექნიკური წაგება - ანგარიშით 0-3. დამრღვევი პირის დისკვალიფიკაციის რაოდენობაზე და ვადაზე დამატებით იმსჯელებს სსფა-ს ან სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტი, სადისციპლინო კოდექსის საფუძველზე.
30. თბილისის ლიგებში მიღებული ბარათები არ მოქმედებს „მოყვარულთა ლიგა 2026“-ის რეგიონული ლიგების გათამაშებაში, და პირიქით.
31. „თბილისის ლიგა 2026“-ის სუპერლიგის მატჩის თითოეული ტაიმი გრძელდება 45 (ორმოცდახუთი) წუთი, ხოლო ლიგა 2-ის მატჩის თითოეული ტაიმი გრძელდება 40 (ორმოცი) წუთი. ტაიმებს შორის შესვენება გრძელდება 15 (თხუთმეტი) წუთი.
32. მატჩის მთავარი მსაჯი უფლებამოსილია თითოეულ ტაიმს დაამატოს გონივრული დრო მატჩის მიმდინარეობის სხვადასხვა მიზეზით შეფერხების შემთხვევაში.
33. მატჩის დაწყების დრო შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მატჩის დაწყება ჭიანურდება სსფა-სგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.
34. ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება IFAB-ის წესების თანახმად.
35. თითოეული მოთამაშე, გასახდელით სარგებლობისას, უნდა დაემორჩილოს მატჩის დელეგატების მითითებებს. აღნიშნულის დარღვევის, გასახდელების დაზიანების ან გამოყენების წესის სხვა დარღვევის შემთხვევაში, ლიგის მონაწილე ყველა გუნდს, სფფ-ის და სსფა-ს მიერ აეკრძალება გასახდელის გამოყენება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი გუნდის მოთამაშის მხრიდან მოხდა დარღვევა.
36. სპორტული/საშეჯიბრო წარმატების გარეშე, რანგით დაბალი ლიგიდან მაღალ ლიგაში აღზევება დაუშვებელია.
37. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სადისციპლინო დავები, გადასაწყვეტად, გადაეცემა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს. აღნიშნული

განსაკუთრებული შემთხვევების კონკრეტული მუხლები განსაზღვრულია სსფა-ს სადისციპლინო კოდექსში.

10 მოთამაშის რეგისტრაცია გუნდში

1. „თბილისის ლიგა 2026“-ის მიმდინარეობისას მოთამაშეთა რეგისტრაციის წესები განისაზღვრება ამ მუხლის მიხედვით.
2. მოთამაშის რეგისტრაცია შესაძლებელია ორი განსხვავებული წესით, სატრანსფერო და არასატრანსფერო პერიოდში.
3. სსფა-ში, „თბილისის ლიგა 2026“-ის მონაწილე გუნდის მიერ, შეტანილი განაცხადის შესაბამისი თანხის გადახდის გარეშე შეცვლა, რაც მოიცავს როგორც გუნდიდან გუნდში, ასევე, თავისუფალი ფეხბურთელის რეგისტრაციას, შესაძლებელია სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრულია 2026 წლის 16 ივნისიდან 2026 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით.
4. სატრანსფერო პერიოდი შესაძლოა გაგრძელდეს საშეჯიბრო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ჩემპიონატის განახლებამდე, კონკრეტულ თარიღამდე.
5. თუ გუნდი აღარ აგრძელებს ასპარეზობას ჩემპიონატში და აქვს დარჩენილი ფინანსური დავალიანება, მისი მოთამაშის ტრანსფერი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთამაშე **წინასწარ იხდის დადგენილ თანხას - 100 (ასი) ლარს. იგი მხოლოდ ამის შემდეგ რეგისტრირდება სხვა გუნდის განაცხადში.**
6. ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში ახალმა გუნდმა სსფა-ს უნდა წარუდგინოს სატრანსფერო ფურცელი, რომელსაც ხელს აწერს ორივე გუნდის წარმომადგენელი (იხ. დანართი 1)
7. თავისუფალი ფეხბურთელის დამატების შემთხვევაში სამოყვარულო საფეხბურთო გუნდმა სსფა-ს უნდა წარუდგინოს განცხადება ამ ფეხბურთელის დამატების შესახებ (იხ. დანართი 2)
8. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსფერო პერიოდი ემთხვევა თბილისის ლიგის მატჩების მიმდინარეობას, ტრანსფერის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი წესით:
   - თუ ტური იმართება შაბათ-კვირას ან ორშაბათს, ტრანსფერი, შესაბამისი პროცედურებით, უნდა დასრულდეს იმავე კვირის არაუგვიანეს ხუთშაბათს, სამუშაო დღის ბოლომდე;
   - თუ ტრანსფერის მსურველმა გუნდმა მატჩი უნდა გამართოს შუა კვირაში, ამ შემთხვევაში, ტრანსფერი, შესაბამისი პროცედურებით, უნდა დასრულდეს მატჩის წინა სამუშაო დღეს.
9. ჩემპიონატის დაწყებამდე 30 (ოცდაათი) მოთამაშეზე მეტის დამატების სურვილის შემთხვევაში მოქმედებს დებულების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის რეგულაცია.
10. თითოეულ გუნდს, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვს, ტურნირის მიმდინარეობისას, თავისუფალი აგენტის სტატუსით (არარეგისტრირებული მოთამაშე) დაიმატოს მოთამაშეები იმ პირობით, რომ საერთო ჯამში, გუნდის განაცხადში არსებული მოყვარული ფეხბურთელების ოდენობა არ აღემატება 40-ს (ორმოცი). თითოეული არარეგისტრირებული მოთამაშის დამატებისათვის სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი წინასწარ იხდის დადგენილ თანხას - 100 (ასი) ლარს და ოფიციალურად არეგისტრირებს

ფეხბურთელს განაცხადში. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა უფლება მოთამაშეს მიიღოს მონაწილეობა მატჩებში. ამავდროულად, აღნიშნული 40 მოთამაშის კვოტაში გუნდს, იგივე პირობებით, სეზონის მიმდინარეობისას, შეუძლია განახორციელოს ცვლილება, ნებისმიერი რაოდენობით.

11. მოყვარულ ფეხბურთელს უფლება აქვს, მოყვარულთა ლიგის ერთი სრული სეზონის განმავლობაში, დარეგისტრირდეს მაქსიმუმ სამი გუნდის შემადგენლობაში. ეს პირობა მოიცავს როგორც თბილისის ლიგის, ასევე, რეგიონული ლიგების გათამაშებებს და ფინალურ ეტაპს. თითოეულ ეტაპზე, მოთამაშეს უფლება აქვს დარეგისტრირდეს მხოლოდ ერთხელ (მუნიციპალური, რეგიონული, თბილისი, დასავლეთის სუპერლიგა, ფინალური)

11 სათამაშო ფორმა - სავალდებულო ეკიპირება

1. ფეხბურთელის სავალდებულო ეკიპირება განისაზღვრება შემდეგი ნივთებით:
   - მაისური სახელოებით;
   - შორტი;
   - გეტრი - სახვევი ან რაიმე მასალა, რომელიც გამოყენებულია ან ჩაცმულია გეტრის ზემოდან, უნდა იყოს გეტრის იმ ნაწილის ფერი, რომელზეც არის გამოყენებული ან რომელსაც ფარავს;
   - წვივსაფარი - დამზადებული უნდა იყოს შესაფერისი მასალისგან, რათა უზრუნველყოს საფუძვლიანი დაცვა და დაფარული უნდა იყოს გეტრით. წვივსაფრის გამოყენება სსფა-ის ეგიდით გამართულ ჩემპიონატებში სავალდებულო არ არის და ფეხბურთელებს შეუძლიათ მისი გამოყენება სურვილისამებრ;
   - ფეხსაცმელი (ე.წ. ბუცი ან დაბალ შიპებიანი ფეხსაცმელი).
2. მეკარეებს შეუძლიათ ჩაიცვან სპორტული შარვალი.

12 სათამაშო ფორმის ფერი

1. მატჩის მონაწილე ორივე გუნდმა უნდა ჩაიცვას ისეთი ფერის ფორმები, რაც განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან და მსაჯებისაგან.
2. ორივე მეკარემ უნდა ჩაიცვას ისეთი ფერის ფორმები, რაც განასხვავებს მათ სხვა ფეხბურთელებისგან და მსაჯებისაგან.
3. თუ ორი მეკარის ფორმა ერთნაირი ფერისაა და მათ არ გააჩნიათ სხვა მაისური, მსაჯმა უნდა დაიწყოს მატჩი.
4. სათამაშო ფორმის შიდა მაისური უნდა იყოს ფორმის მაისურის სახელოს ძირითადი ფერის.
5. სათამაშო ფორმის შიდა შორტი უნდა იყოს ფორმის შორტის ძირითადი ფერის ან შორტის ყველაზე ქვედა ნაწილის ფერის.
6. ერთი და იმავე გუნდის ფეხბურთელებმა უნდა ჩაიცვან ერთნაირი ფერის ფორმები.

13 უსაფრთხო ეკიპირება

1. მოცემული რეგულაციის მიზანია სამართლიანი თამაშის წესების შესაბამისად უზრუნველყოს თანაბარი მოპყრობა სამოყვარულო საფეხბურთო გუნდების/კლუბების მიმართ.
2. ფეხბურთელმა არ უნდა გამოიყენოს ისეთი ეკიპირება ან ჩაიცვას ისეთი რამ, რაც საფრთხეს შეუქმნის თავად ამ ფეხბურთელის ან/და მატჩის მონაწილე სხვა პირების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ყველანაირი სამკაულის ტარება აკრძალულია (ყელსაბამი, ბეჭედი, საყურე, სამაჯური, ტყავის სახვევი, რეზინის სახვევი და ა.შ.) და უნდა იყოს მოხსნილი. აკრძალულია სახვევის გამოყენება სამკაულის დასაფარად.
3. ფეხბურთელების შემოწმება უნდა მოხდეს მატჩის დაწყებამდე, ხოლო სათადარიგო ფეხბურთელების - სათამაშო მოედანზე შესვლამდე. თუ ფეხბურთელი ატარებს ან იყენებს აკრძალულ/სახიფათო ეკიპირებას ან სამკაულს, მსაჯმა უნდა მოსთხოვოს ფეხბურთელს:
   - მოიხსნას ნივთი
   - დატოვოს სათამაშო მოედანი თამაშის მომდევნო გაჩერებისას, თუ მას არ შეუძლია ან არ სურს მოთხოვნის შესრულება. ასეთი ფეხბურთელი გუნდის მიერ უნდა იქნას შეცვლილი სხვა ფეხბურთელით. თუ გუნდის შეცვლების ლიმიტი ამოწურულია, გუნდი მოედანზე რჩება ერთი ნაკლები ფეხბურთელით.
4. ფეხბურთელი, რომელიც უარს აცხადებს მოთხოვნის შესრულებაზე ან კვლავ ატარებს საგანს, უნდა იყოს გაფრთხილებული. თუ ფეხბურთელმა გაფრთხილების შემდეგაც არ შეასრულა მსაჯის მითითება, მსაჯს უფლება აქვს ასეთი ფეხბურთელი გააძევოს მოედნიდან.

14 სათამაშო ფორმების უზრუნველყოფა

1. თბილისის ლიგების მონაწილე გუნდი ვალდებულია ჰქონდეს არანაკლებ ორი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ფერის სათამაშო ფორმა, რომლის მაისურის ზურგის მხარეს დატანილია ნომერი, ზომით არანაკლებ 15 სმ. მაისურზე ნომრები შეიძლება დატანილი იყოს 1-დან 99-ის ჩათვლით, ხოლო მაისურის მკერდზე, გულის მხარეს დატანილი უნდა იყოს გუნდის ლოგო.
2. თითოეული გუნდი ვალდებულია ყველა მატჩზე თან იქონიოს ორი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ფერის სათამაშო ფორმა. ფორმის შერჩევის უპირატესობა ენიჭება მატჩში ნომინალურ მასპინძელ გუნდს.
3. თბილისის ლიგების მონაწილე გუნდის თითოეული სათამაშო ფორმის კომპლექტზე აკრძალულია ნებისმიერი სხვა ჩემპიონატის ლოგოს განთავსება, გარდა „მოყვარულთა ლიგა“-ს ლოგოსი.
4. ამ მუხლით განსაზღვრული პირობის შესასრულებლად თბილისის ლიგების მონაწილე გუნდებს განესაზღვროს ვადა ჩემპიონატის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა. აღნიშნულ ვადაში ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში გუნდი/კლუბი

სსფა-ის მიერ დაჯარიმდება 100 ლარით. ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის გახანგრძლივება დაუშვებელია. ასეთი სანქციის დასაწესებლად არ არის საჭირო სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილება და სანქციის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სსფა-ის საშეჯიბრო კომიტეტი. აღნიშნული სანქცია საბოლოოა და არ საჩივრდება, ასევე, დაუშვებელია ასეთი სანქციის ოდენობის გაზრდა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ჯარიმის გადახდის ვადაა 5 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევ გუნდს/კლუბს შეუჩერდება მონაწილის სტატუსი და ვეღარ მიიღებს ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობას მანამ, სანამ სრულად არ დაფარავს სსფა-ის მიერ დაკისრებულ სანქციას.
6. „თბილისის ლიგა 2026“-ის მონაწილე გუნდებს/კლუბებს უფლება აქვთ სათამაშო ფორმაზე მაისურის წინა მხარეს დაიტანონ სპონსორის ლოგო ან/და სოციალური კამპანიის გამომხატველი ფრაზა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ წესებს.
7. თბილისის ლიგების მონაწილე გუნდების კაპიტნებმა მატჩის დაწყებიდან დასრულებამდე უნდა ატარონ კაპიტნის სამკლაური. იმ შემთხვევაში, თუ გუნდის კაპიტანი იქნება შეცვლილი, გაძევებული, ტრავმის გამო ან სხვა მიზეზით დატოვებს მოედანს კაპიტნის სამკლაური გადაეცემა გუნდის ვიცე-კაპიტანს. მატჩის დასრულებამდე, თითოეული გუნდიდან ერთი ფეხბურთელი მოედანზე აუცილებლად უნდა იყოს კაპიტნის სამკლაურით.
8. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული წესის დარღვევის შემთხვევაში, სსფა-ის საშეჯიბრო კომიტეტს უფლება აქვს დამრღვევ გუნდს დაუწესოს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 ლარს თითოეული მატჩისათვის. ასეთი სანქციის დასაწესებლად არ არის საჭირო სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილება. აღნიშნული სანქცია საბოლოოა და არ საჩივრდება, ასევე, დაუშვებელია ასეთი სანქციის ოდენობის გაზრდა.

15 ფარმ-გუნდი

1. „თბილისის სუპერლიგა“-ში რეგისტრირებულ თითოეულ (მთავარ) გუნდს უფლება აქვს ჰყავდეს ფარმ-გუნდი რანგით ქვედა ლიგაში, რომელიც რეგისტრირებული იქნება სსფა-ში ამ დებულების 7.6. მუხლის მოთხოვნების დაცვის შესაბამისად.
2. მთავარ გუნდს უფლება აქვს მისი ლიგის ნებისმიერი მატჩის ოქმში შეიყვანოს ფარმ-გუნდის განაცხადში მყოფი არაუმეტეს 5 (ხუთი) მოთამაშე; ხოლო, ფარმ-გუნდს უფლება აქვს მისი ლიგის ნებისმიერი მატჩის ოქმში შეიყვანოს მთავარი გუნდის განაცხადში მყოფი არაუმეტეს 3 (სამი) მოთამაშე.
3. თბილისის ლიგების გათამაშების ერთი და იგივე სამატჩო კვირას (იგულისხმება შუა კვირაც) ფეხბურთელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთ მატჩში - მთავარი ან ფარმ-გუნდის შემადგენლობაში. ოქმში შეყვანა არ ნიშნავს მონაწილეობას.
4. თუ მთავარი გუნდი დაარღვევს ამ დებულების 15.2. მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნას

და მატჩში ათამაშებს ფარმ-გუნდის ხუთზე მეტ ფეხბურთელს, ან ფარმ-გუნდი ათამაშებს მთავარი გუნდის სამზე მეტ ფეხბურთელს, გუნდს ჩაეთვლება ტექნიკური წაგება - ანგარიშით 0-3 და დაფიქსირდება მეორე გუნდის მოგება, მიუხედავად მოწინააღმდეგე გუნდთან ნაჩვენები შედეგისა.

5. თუ მთავარი ან ფარმ-გუნდის შემადგენლობაში მყოფმა რომელიმე ფეხბურთელმა 15.3. პუნქტის დარღვევით ითამაშა ორივე გუნდის შემადგენლობაში, ორივე გუნდს ჩაეთვლება ტექნიკური წაგება - ანგარიშით 0-3 (მეორე გუნდის მოგება)
6. ფეხბურთელი ან მწვრთნელი, რომელიც შეყვანილი იყო მთავარი ან ფარმ-გუნდის მატჩის ოქმებში, 4 (ოთხი) ყვითელი ან წითელი ბარათის მიღების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, თუ რომელი გუნდის შემადგენლობაში (მთავარი თუ ფარმ-გუნდის) მიიღო ბარათები), გამოტოვებს თბილისის ლიგის როგორც ძირითადი, ისე ფარმ-გუნდის მომდევნო გასამართ მატჩს, იმავე ან/და მომდევნო ტურში, ყველა სტატუსით.
7. თუ მთავარი გუნდი მოიპოვებს „მოყვარულთა ლიგა 2026“-ის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლებას, მას უფლება აქვს ფინალური ეტაპის განაცხადში შეიყვანოს ფარმ-გუნდის განაცხადში მყოფი არაუმეტეს 5 (ხუთი) მოთამაშე.
8. გუნდს უფლება არ აქვს ჰყავდეს ფარმ-გუნდი იმავე ლიგაში.
9. თუ „თბილისის ლიგა 2“-ში მონაწილე ფარმ-გუნდი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ჯგუფში გადამსვლელ ადგილს დაიკავებს, ის მიიღებს ამ დებულებით დადგენილ ფულად პრიზს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგრამ ვერ იასპარეზებს მისი მთავარი გუნდის ლიგაში, მომდევნო სეზონში. ასეთ ადგილს დაიკავებს ჯგუფში მომდევნო ადგილზე მყოფი გუნდი.

16 თბილისის ლიგის ჩატარების ადგილი

1. „თბილისის ლიგა 2026“ გაიმართება ქალაქ თბილისში, სსფა-ს და სფფ-ს მიერ წინასწარ განსაზღვრულ საფეხბურთო მოედნებზე.
2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, „თბილისის ლიგა 2026“-ის კალენდარული მატჩი შეიძლება გადატანილ იქნას სხვა სტადიონზე. სსფა ვალდებულია გუნდებს გონივრულ ვადაში აცნობოს აღნიშნული გარემოების შესახებ.
3. მატჩის დელეგატი/კოორდინატორი და მსაჯები ვალდებულნი არიან ყველა ღონე იხმარონ მატჩის ჩასატარებლად და ამის შესახებ აცნობონ სსფა-ს საშეჯიბრო კომიტეტს. დაწყებული მატჩის შეწყვეტა და შემდგომში გაგრძელება შესაძლებელია, მხოლოდ ფორსმაჟორული მდგომარეობისას (წყალდიდობა, დიდთოვლობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა ბუნებრივი მოვლენები) და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას (საგანგებო მდგომარეობისას), რომლებიც მატჩის ორგანიზატორებისა და მონაწილეებისაგან დამოუკიდებლად ხდება.
4. თუ მატჩი შეწყდა 16.3. მუხლში განსაზღვრული მდგომარეობის გამო და მატჩის გაგრძელება მისი შეწყვეტის დღეს ვერ მოხერხდა, სსფა-ს საშეჯიბრო კომიტეტის მიერ დაინიშნება მატჩის გაგრძელების თარიღი და ადგილი. განახლებული მატჩის (ანგარიში, სადისციპლინო სანქციები - წითელი და ყვითელი ბარათები ძალაშია) სათამაშო დროდ განისაზღვრება შეწყვეტილი მატჩის შეწყვეტიდან მატჩის დასრულებამდე დარჩენილი დრო. გაგრძელებულ მატჩში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ შეწყვეტილი მატჩის დროს გუნდის განაცხადში არსებულ მოთამაშეებს.

17 მსაჯობა

1. „თბილისის ლიგა 2026“-ის მატჩებს მოემსახურებიან **საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ რეკომენდებული და დამტკიცებული მსაჯები**. მსაჯობა ხორციელდება „FIFA“-ს წესების შესაბამისად.
2. არბიტრთა ბრიგადა შედგება მთავარი და ორი ასისტენტი არბიტრისაგან. თითოეულ მატჩზე მსაჯთა ბრიგადას ნიშნავს სფფ-ის სამსაჯო განყოფილება, არბიტრთა არსებული რესურსის მიხედვით.
3. მატჩზე მთავარი მსაჯის გამოუცხადებლობის ან მის მიერ მატჩის გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს შეასრულებს პირველი ასისტენტი (გვერდითი) მსაჯი.
4. მატჩის დელეგატი/კოორდინატორი დაუყოვნებლივ შეატყობინებს სამსაჯო განყოფილებას რომელიმე არბიტრის გამოუცხადებლობისა და მისი ჩანაცვლების აუცილებლობის შესახებ.
5. მსაჯი ვალდებულია წერილობით აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილების და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის მითითებით. მატჩის დროს მომხდარი საგანგებო შემთხვევის შესახებ მსაჯმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მატჩის დელეგატს/კოორდინატორს. მატჩის შემდეგ, არბიტრი მატჩის ოფიციალურ ოქმში, დელეგატის/კოორდინატორის თანდასწრებით მიუთითებს ინფორმაციას მატჩისას მომხდარი ნებისმიერი მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ინფორმაციას (მ.შ. სადისციპლინო დარღვევები)
6. მოთამაშის ტრავმის შემთხვევაში, არბიტრი აჩერებს შეხვედრას გონივრული ვადით, სანამ მოედანზე მყოფ მოთამაშეს დახმარებას აღმოუჩენს სსფა-ის მიერ დაქირავებული კვალიფიციური ექიმი.
7. მატჩებზე მსაჯის მომსახურების თანხას იხდის სსფა.
8. სსფა-ს საშეჯიბრო და სადისციპლინო კომიტეტი არ განიხილავს მსაჯის მიერ შესაძლო დაშვებულ შეცდომაზე პროტესტსა და საჩივარს და აღნიშნული მიზეზით არც ერთი მატჩი გადათამაშებას არ ექვემდებარება. შესაძლებელია, მხოლოდ ყვითელი ან წითელი ბარათის ვალიდურობის განხილვა იმ შემთხვევაში, თუ არბიტრმა, შეცდომით, სხვა მოთამაშის დარღვევის გამო, ბარათი უჩვენა მეორე მოთამაშეს და ამის მტკიცებულება არსებობს.

18 მატჩის დელეგატი და კოორდინატორი

1. ჩემპიონატის მატჩების უკეთ ორგანიზებისა და მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ჩემპიონატის მატჩებზე ინიშნება დელეგატი და კოორდინატორი. დელეგატებს/კოორდინატორებს ნიშნავს სსფა-ს საშეჯიბრო კომიტეტი.
2. მატჩის დელეგატი/კოორდინატორი პასუხისმგებელია მატჩის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების კონტროლზე. იგი უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წარმომადგენლებთან, სტადიონის დირექტორთან ან სტადიონის პასუხისმგებელ პირთან. დელეგატი/კოორდინატორი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს და გადაწყვიტოს მატჩის ჩატარებასთან

დაკავშირებული ყველა საკითხი და ნებართვა გასცეს მატჩის ჩატარების შესახებ. დელეგატი/კოორდინატორი, ასევე, ვალდებულია აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილების და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები, გატანილი გოლები, განხორციელებული ცვლილებები, მატჩის დროს მომხდარი საგანგებო შემთხვევები. ფორსმაჟორული სიტუაციის გამო მატჩის დაწყების ან დაწყებული მატჩის შეწყვეტის საკითხს წყვეტს მატჩის დელეგატი/კოორდინატორი, საშეჯიბრო კომიტეტთან შეთანხმებით.

3. საეჭვოობის შემთხვევაში, დელეგატს/კოორდინატორს უფლება აქვს, მატჩის მიმდინარეობისას მსაჯთან გადაამოწმოს მატჩში ნაჩვენები ბარათების ადრესატების სისწორე.
4. დელეგატი/კოორდინატორი ვალდებულია დაინიშნოს მატჩის დაწყებისა და დასრულების დრო და აკონტროლოს თითოეული ტაიმის ხანგრძლივობა.
5. თითოეული მატჩის დასრულების შემდეგ, დელეგატი/კოორდინატორი ვალდებულია სათანადოდ შევსებული და მის მიერ ხელმოწერილი მატჩის ოქმი ხელმოსაწერად გადასცეს მატჩში მონაწილე გუნდების ოფიციალურ წარმომადგენლებს, მსაჯებს, ექიმსა და უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელს. რომელიმე გუნდის ოფიციალური წარმომადგენლის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში, მატჩის ოქმს ხელს აწერს გუნდის კაპიტანი.
6. გუნდის ოფიციალური წარმომადგენლის ან კაპიტნის მიერ მატჩის ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, დელეგატი/კოორდინატორი ვალდებულია ოქმში აღნიშნოს უარის თქმის მიზეზი.
7. გუნდის ოფიციალური წარმომადგენლის ან კაპიტნის მიერ მატჩის ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა, ეჭვქვეშ არ აყენებს მატჩის ოქმში შეტანილი მონაცემების სანდოობას.
8. ერთ მატჩზე რამდენიმე დელეგატის/კოორდინატორის დასწრების შემთხვევაში, მატჩის ოქმზე ხელმოწერა სავალდებულოა ნებისმიერი ერთი დელეგატისათვის/კოორდინატორისათვის.
9. სათანადოდ შევსებულ და ხელმოწერილ ოქმებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.
10. დელეგატს არ აქვს უფლება ჩაერიოს მსაჯის კომპეტენციაში.

19 სამედიცინო და უსაფრთხოების საკითხები

1. „თბილისის ლიგა 2026“-ის მატჩების მიმდინარეობისას სამედიცინო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სსფა-ს მიერ დაქირავებული კვალიფიციური ექიმი. საჭიროების შემთხვევაში მატჩის დელეგატი/კოორდინატორი გამოიძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას.
2. გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია გუნდის განაცხადში შეიყვანოს მოთამაშე, რომელსაც აქვს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური მომზადება. ფეხბურთელების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პასუხისმგებელია გუნდის ოფიციალური წარმომადგენელი და მწვრთნელი.
3. თითოეული გუნდი და გუნდის გულშემატკივარი ვალდებულია მატჩის მსვლელობისას დაიცვას უსაფრთხოების წესები; არ ჩაერთოს და არ შეუწყოს ხელი არეულობასა და კონფლიქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამრღვევი პირის ან/და გუნდის პასუხისმგებლობას

განსაზღვრავს სსფა-ს სადისციპლინო ორგანო სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა შეიცავს სისხლის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნებს, საქმე გადაეცემა შესაბამის ორგანოებს.

4. „თბილისის ლიგა 2026“-ის მატჩების მიმდინარეობისას უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სსფა-ს მიერ დაქირავებული დაცვის სამსახური. საჭიროების შემთხვევაში გამოძახებული იქნება საპატრულო პოლიცია.

20. დაჯილდოება

1. „თბილისის სუპერლიგა“-ის გამარჯვებულ გუნდს ენიჭება ჩემპიონის ტიტული. გუნდი ჯილდოვდება გარდამავალი თასით და გუნდის ყველა მოთამაშე იღებს მედალს. თბილისის ლიგა 2-ის გამარჯვებული მიიღებს გარდამავალ თასს, ხოლო მეორე ადგილოსან გუნდთან ერთად მიიღებს მედლებს. „თბილისის სუპერლიგა“-ის პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ გუნდებს, ასევე, „თბილისის ლიგა 2“-ის “ა” და “ბ” ჯგუფების გამარჯვებულ გუნდებს, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გადაეცემათ ფულადი პრიზები.
   სუპერლიგის გამარჯვებული - 10 000 ლარი;
   სუპერლიგის მეორე ადგილოსანი - 6 000 ლარი;
   სუპერლიგის მესამე ადგილოსანი - 4 000 ლარი;
   ლიგა 2 - ის „ა“ ჯგუფის გამარჯვებული - 4 000 ლარი;
   ლიგა 2 - ის „ბ“ ჯგუფის გამარჯვებული - 4 000 ლარი.
2. თბილისის ლიგის საუკეთესო მოთამაშეებს, ინდივიდუალურ ნომინაციებში, გადაეცემათ პრიზები.
   სუპერლიგის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი
   ლიგა 2-ის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი
   სუპერლიგის საუკეთესო მეკარის პრიზი
   ლიგა 2-ის საუკეთესო მეკარის პრიზი
   სუპერლიგის საუკეთესო მცველის პრიზი
   ლიგა 2-ის საუკეთესო მცველის პრიზი
   სუპერლიგის საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი
   ლიგა 2-ის საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი
   სუპერლიგის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი
   ლიგა 2-ის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი
   სუპერლიგის ბომბარდირის პრიზი
   ლიგა 2-ის ბომბარდირის პრიზი

21. გაუთვალისწინებელი შემთხვევები

გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს სსფა-ს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, გონივრული დასაბუთების საფუძველზე, ნებისმიერ რელევანტურ საკითხთან მიმართებით.

22. დასკვნითი დებულებები

თითოეული გუნდი, ჩემპიონატში რეგისტრაციით ცნობს და ემორჩილება დებულების ნორმებს, იღებს პასუხისმგებლობას მათ შესრულებაზე და შეუსრულებლობის შემთხვევაში ექვემდებარება სსფა-ს მიერ დადგენილ სანქციებს.

სსფა ემიჯნება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას. „მოყვარულთა ლიგა 2026“-ის, მათ შორის „თბილისის ლიგა 2026“-ის ფარგლებში გამართულ ნებისმიერ მატჩში დაფიქსირებული დისკრიმინაციის შემთხვევაში, მოთამაშე დაისჯება ჩემპიონატიდან მოკვეთით, ხოლო გუნდი, ქულების დაკლებით. შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს სადისციპლინო კომიტეტი. დისკრიმინირებულ პირს შეუძლია გამოიყენოს შესაბამისი საჯარო სამართლებრივი ბერკეტები.

დებულება ძალაში შედის 2026 წლის 23 თებერვლიდან

საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის გამგეობა

დანართი 1. სატრანსფერო ფურცელი

თარიღი:___/__/_____

ფეხბურთელი	
სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
ტელეფონი	
ნომერი მაისურზე	

ყოფილი გუნდი	
სახელწოდება	
საიდენტიფიკაციო ნომერი	
წარმომადგენელი	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	

ახალი გუნდი	
სახელწოდება	
საიდენტიფიკაციო ნომერი	
წარმომადგენელი	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	

/----------/ /----------/

(ყოფილი გუნდი) (ახალი გუნდი)

დანართი 2. თავისუფალი ფეხბურთელის დამატების შესახებ

საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციას

სამოყვარულო საფეხბურთო გუნდის

_____

გაცნობებთ, რომ გუნდის შემადგენლობაში ვიმატებთ (თავისუფალი) ფეხბურთელს რომელიც იასპარეზებს-----ნომრიანი მაისურით.

ფეხბურთელი	
სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
ტელეფონი	
სტატუსი	

გუნდი	
სახელწოდება	
საიდენტიფიკაციო ნომერი	
წარმომადგენელი	
ტელ:	
ელ-ფოსტა	

/ ----------/-

(გუნდი)

/ ----------/-

(თარიღი)

GEORGIAN AMATEUR FOOTBALL ASSOCIATION

მოყვარულთა ლიგა 2026-ის

სამართლებრივი დეკლარაცია

„მოყვარულთა ლიგა”-ში მონაწილე სამოყვარულო საფეხბურთო კლუბის _____ სახელით, უფლებამოსილი ვართ, საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის წინამდებარე დეკლარაციაზე ხელმოწერით დავადასტუროთ, რომ გუნდის:

- ოფიციალური წარმომადგენელი
- მწვრთნელ(ებ)ი
- ყველა ფეხბურთელი
- ყველა ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირი

გავეცანით საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის შესაბამისი ლიგის საშეჯიბრო დებულებას და სადისციპლინო კოდექსს, ვცნობთ ამ კოდექსის, სადისციპლინო, სააპელაციო და საშეჯიბრო კომიტეტების გადაწყვეტილებების იურისდიქციას საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატებზე და ვაცხადებთ, რომ:

- გუნდის განაცხადში შეყვანილი ფეხბურთელების ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური მომზადება შეესაბამება ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო მონაცემებს;
- დაუშვებელია **მსაჯების** და მატჩების სხვა ოფიციალური პირების სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა;
- დაუშვებელია **გასახდელის** ან სხვა ნებისმიერი საშეჯიბრო ინვენტარის დაზიანება და, ასეთ შემთხვევაში, მიიღება შესაბამისი სადისციპლინო სასჯელი;
- პატივს ვცემთ ასოციაციის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური პირების რელევანტურ გადაწყვეტილებებს;
- უზრუნველვყოფთ გუნდი სათამაშო ეკიპირებით, სსფა-ის მიერ დადგენილი გუნდის სათამაშო ეკიპირების ინსტრუქციის შესაბამისად, ჩემპიონატის ყველა მატჩზე;
- საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის (სსფა) მიერ, ჩემპიონატის ფარგლებში შექმნილი ნებისმიერი ფოტო-ვიდეო მასალა ეკუთვნის სსფა-ს და შეუძლია გამოიყენოს კომერციული მიზნებისათვის, ჩემპიონატის მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ის მოთამაშე/მწვრთნელი/წარმომადგენელი, რომელიც არ მოაწერს ხელს აღნიშნულ დეკლარაციას, არ ჩაითვლება შესაბამისი წესით რეგისტრირებულ პირად და ლიგაში ასპარეზობის შემთხვევაში მასზე გავრცელდება სადისციპლინო სანქცია.